

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი

სამუშაო ვერსია

აკადემიურ თანამდებობებზე ასაჩივ პირთა

სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი  
მუშაობის შეფასების წესი

თბილისი  
2008 წელი

“დამტკიცებულია”

სსსსუ-ს აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი № “-----“-----“ 2008 წ.

წარმოდგენილია ხარისხის  
მართვის სამსახურის მიერ  
ოქმი № “-----“-----“ 2008 წ.

შემდგენლები:

1. სრ. პროფ. თ. კანდელაკი
2. სრ. პროფ. ე. შაფაქიძე
3. სრ. პროფ. ტ. გაბისონია
4. სრ. პროფ. რ. მიტინაშვილი

**აკადემიურ თანამდებობებზე ასარჩევ პირთა სასწავლო და სამეცნიერო - კვლევითი შეფასების განსაზღვრის ძირითადი მოთხოვნები**

- საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ მუხლი 21-ის მიხედვით აკადემიური საბჭო უფლებამოსილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით დაამტკიცოს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი.
- სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი განსაზღვრავს შეფასებისათვის დადგენილი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად უნივერსიტეტში პედაგოგიური კადრების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების სისტემის შემადგენელ ინდიკატორებს;
- წესი მოიცავს იმ კრიტერიუმებს, რომლის მიხედვითაც უნდა შეფასდეს უნივერსიტეტის დეპარტამენტები, სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულები, აკადემიური პერსონალი და სასწავლო-სამეცნიერო პროცესში უშუალოდ მონაწილე დამხმარე პერსონალი, რომელთა აქტიურობა და საქმიანობის შედეგები აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული პედაგოგთა აკადემიურ ან სამეცნიერო სამუშაოზე არჩევის დროს;
- წესი უზრუნველყოფს – უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შეფასების ხარისხის გამჭვირვალებას და თვალსაჩინოებას, ხელს შეუწყობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართული თანამშრომლების სტიმულირებას და პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას.
- სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი შედგება ორი ნაწილისაგან, სადაც ცხრილების სახით წარმოდგენილია აკადემიური თანამდებობის და დამხმარე პერსონალის სასწავლო მიმართულებით შესრულებული სამუშაოს შეფასების, უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულ მეცნიერ-მუშაკთა და დამხმარე პერსონალის საქმიანობის მაჩვენებლები (შეფასების მონაცემები, შეფასების პირობები) გამოხატული ქულების სახით.
- დეპარტამენტის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის ან ინდივიდუუმების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების კრიტერიუმები შესაძლებელია დაზუსტდეს, როგორც აკადემიური საბჭოს ისე ფაკულტეტის საბჭოების მიერ, უნივერსიტეტის საკვალიფიკაციო კომისიასთან შეთანხმებით.
- საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტში განსაზღვრული თანამდებობისა და ქვედანაყოფების შეფასებას ახორციელებს უნივერსიტეტის საკვალიფიკაციო შეფასების კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები, მაღალკვალიფიცირებული მეცნიერ-მუშაკები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სტუდენტი ახალგაზრდობის წარმომადგენლები.
- საკვალიფიკაციო შეფასების კომისიის უფლება-მოვალეობების (გარდა აღნიშნული წესებით გათვალისწინებულისა) და შემადგენლობის შესახებ წინადადებებს შეიმუშავებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო, აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით, ქვეყნის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილებათა გათვალისწინებით.
- საკვალიფიკაციო შეფასების კომისია იქმნება, გარდაიქმნება და საქმიანობას წყვეტს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებულებით.
- “სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის” ძალაში შედის უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე დამტკიცებისთანავე;

**1. შეფასებას დაქვემდებარებული საუნივერსიტეტო სტრუქტურები და აკადემიური პერსონალი**

1.1. სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო დანაყოფების (სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი სამსახურები, დეპარტამენტი, ინსტიტუტები, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, ცენტრები და სხვა) კვალიფიკაციის ამდლების, შედეგად მათი ოპტიმიზაცია-გაფართოების, გაუქმების, გაყოფის, სრული ან ნაწილობრივი რეორგანიზაციის, სტატუსის შეცვლის მეშვეობით;

1.2. თანამშრომელთა რიგითი ან რიგგარეშე სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შეფასებას, ექვემდებარება:

1.2.1. სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორი;

(სრულ პროფესორად შეიძლება არჩეული იქნას მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტის დიპლომის მქონე პირი და აკადემიური ხარისხის დოქტორი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 8 წლის გამოცდილება.

ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტის დიპლომის მქონე პირი და აკადემიური ხარისხის დოქტორი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნას აკადემიური ხარისხის დოქტორი ან დოქტორანტი არანაკლებ 1 წლის პედაგოგიური მუშაობის გამოცდილებით.)

1.2.2. მთავარი, უფროსი, წამყვანი მეცნიერ მუშაკი;

1.2.3. უფროსი მასწავლებელი, მასწავლებელი;

1.2.4. სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში უშუალოდ დაკავებული დამხმარე პერსონალი – უფრ. ლაბორანტი, ლაბორანტი;

1.2.5. უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულები;

1.3. შეფასების შედეგების საფუძველზე გადაწყდება თანამშრომელთა თანამდებობებზე არჩევა, საქმიანობის ვადების გაგრძელება, გათავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან; ან თანხმობის შემთხვევაში გადაყვანა უფრო დაბალ თანამდებობაზე;

1.4. საკვალიფიკაციო შეფასების შედეგად მიიღწევა შრომის ანაზღაურების დიფერენცირება უნივერსიტეტში მომუშავე აკადემიურ პერსონალს შორის მიღწეული შედეგების გათვალისწინებით;

1.5. საკვალიფიკაციო შეფასება ტარდება კონკურსებს შორის პერიოდში აკადემიურ საბჭოს მიერ დადგენილ ვადებში.

**2. აკადემიურ თანამდებობებზე ასარჩევ პირთა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების მაჩვენებლები.**

**2.1. სასწავლო პროცესის შეფასების მაჩვენებლები**

ცხრილი №1

| №  | შეფასების მონაცემები                 | შეფასების პირობები (ობიექტი)                        | საორიენტაციო ქულები |              |              |             |
|----|--------------------------------------|---|---------------------|--------------|--------------|-------------|
|    |                                      |   | ქულა                | სრ. პროფ.    | ასოც. პროფ.  | ასის პროფ.  |
| 1  | 2                                    | 3   | 4                   | 5            | 6            | 7           |
| 1. | სსსსუ-ში მუშაობის პედაგოგიური სტაჟი: | 5 წელზე ნაკლები<br>5-დან 10 წლამდე<br>10 წელზე მეტი | 5<br>10<br>15       | –<br>–<br>15 | –<br>10<br>– | 5<br>–<br>– |

|    |  |  |                                 |                                  |                                 |                                |
|----|--|--|---------------------------------|----------------------------------|---------------------------------|--------------------------------|
| 2. | აკადემიური თანამდებობა:  | სრული პროფესორი<br>ასოცირებული პროფესორი<br>ასისტენტ პროფესორი   | 25<br>20<br>15                  | 25<br>–<br>–                     | –<br>20<br>–                    | –<br>–<br>15                   |
| 3. | მასწავლებელთა პერსონალი  | უფ. მასწავლებელი<br>მასწავლებელი   | 10<br>5                         | –<br>–                           | –<br>–                          | –<br>–                         |
| 4. | პროფილთან შესაბამისობა   | შეესაბამება პროფილს  | 10                              | 10                               | 10                              | 10                             |
| 5. | მეცადინეობების ჩატარება ძირითად კურსში ბოლო 3 წლის განმავლობაში (მაქსიმუმ ორი საგანი): | ლექცია (შეფასება 1 საგანში)<br>ლაბორატორია<br>პრაქტიკული<br>სემინარი   | 15<br>10<br>5<br>5              | 45<br>–<br>–<br>–                | 45<br>30<br>–<br>–              | –<br>30<br>–<br>–              |
| 6. | სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის შედგენა ბოლო 10 წლის განმავლობაში                        | - ერთი დისციპლინის სალექციო კურსის შედგენა<br>- ერთი სასწავლო კურსის პროგრამის შედგენა (ლაბ. პრაქტ. სემინ.)<br>-ერთ დისციპლინაში სარეიტინგო ტესტების მომზადება<br>-ერთი მეთოდური ლიტერატურა საკურსო შრომის (პროექტის) შესასრულებლად<br>-კომპიუტერული პროგრამები<br>-ერთი დისციპლინის სილაბუსის შედგენა | 40<br>10<br>10<br>10<br>10<br>3 | 120<br>30<br>30<br>20<br>20<br>9 | 80<br>30<br>30<br>20<br>20<br>9 | –<br>30<br>30<br>20<br>20<br>– |
| 7. | სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობა:  | - სასწავლო პრაქტიკის ხელმძღვანელობა ჯგუფზე<br>- საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელობა ჯგუფზე   | 5<br>5                          | –<br>–                           | 20<br>20                        | 20<br>20                       |
| 8. | ბოლო 3 წლის განმავლობაში ყოველწლიურად სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა               | ყოველ დაცულ სამაგისტრო ნაშრომზე  | 20                              | 40                               | 40                              | –                              |
| 9. | ბოლო 10 წელიწადში გამოქვეყნებული სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა:                         | - სახელმძღვანელო გამოცემული საზღვარგარეთ<br>- ყოველ სახელმძღვანელოზე<br>- ყოველ ქართულად თარგმნილ სახელმძღვანელოზე   | 100<br>60<br>30                 | –<br>60<br>30                    | –<br>–<br>30                    | –<br>–<br>–                    |

|                 |   |  |    |            |            |            |
|-----------------|---|--|----|------------|------------|------------|
|                 |   | - ყოველ დამხმარე სახელმძღვანელოზე ან სასწავლო მეთოდურ ლიტერატურაზე   | 30 | -          | -          | -          |
| 10              | ბოლო 10 წელიწადში სარედაქციო საქმიანობა   | - ყოველი ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების, სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის რედაქტორობა<br>- ყოველ ძირითად და დამხმარე სახელმძღვანელოს სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის რეცენზირება | 5  | 20         | 10         | -          |
|                 |   |  | 3  | 6          | 6          | -          |
| 11              | სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელობა ბოლო 3 წლის განმავლობაში               | ერთი სასწავლო წლის განმავლობაში  | 10 | 10         | 10         | -          |
| 12              | სტუდენტებთან სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ბოლო 3 წლის განმავლობაში               | ერთ სტუდენტზე  | 5  | 25         | 15         | 15         |
| 13              | სტუდენტების მომზადება სამეცნიერო კონფერენციისათვის ბოლო 3 წლის განმავლობაში     | - სტუდენტის მიერ მიღებულ საერთაშორისო მნიშვნელობის ყოველ დიპლომზე<br>- სტუდენტის მიერ მიღებულ რესპუბლიკური მნიშვნელობის ყოველ დიპლომზე   | 20 | -          | -          | -          |
|                 |   |  | 10 | 20         | 10         | 10         |
| 14              | საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში პედაგოგიური მოღვაწეობა ბოლო 10 წლის განმავლობაში | ერთ სასწავლო წელს  | 50 | -          | -          | -          |
| 15              | უნივერსიტეტის საბჭოების მუშაობაში მონაწილეობა                                   | - აკადემიურ საბჭოში<br>- წარმომადგენლობით საბჭოში<br>- ფაკულტეტის საბჭოში  | 40 | -          | -          | -          |
|                 |   |  | 30 | -          | -          | -          |
|                 |   |  | 10 | -          | -          | -          |
| 16              | პროფესიული პრემია ან სტიპენდია ბოლო 10 წლის განმავლობაში                        | თითოეულ ჯილდოზე  | 20 | -          | -          | -          |
| <b>ჯ ა მ ი:</b> |   |  |    | <b>535</b> | <b>465</b> | <b>225</b> |

2.2. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების მაჩვენებლები

ცხრილი № 2

| №  | შეფასების მონაცემები                                    | შეფასების პირობები (ობიექტი)  | ქულა                         | სრ. პროფ.                 | ასოც. პროფ.              | ასისტ. პროფ.             |
|----|---|---|------------------------------|---------------------------|--------------------------|--------------------------|
| 1  | 2   | 3   | 4                            | 5                         | 6                        | 7                        |
| 1. | სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხი                        | - სამეცნიერო ხარისხი, დოქტორი<br>- სამეცნიერო ხარისხი, კანდიდატი<br>- აკადემიური ხარისხის დოქტორი   | 20<br>10<br>10               | 20<br>-<br>-              | -<br>10<br>-             | -<br>-<br>10             |
| 2. | ბოლო 10 წელიწადში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატია      | - იმფაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნებულ ყოველ სტატიაზე<br>- დარგობრივ მსოფლიო კონგრესების მასალებში გამოქვეყნებული ყოველ შრომაზე<br>- საერთაშორისო მნიშვნელობის მაღალ რეიტინგის მქონე ჟურნალში -რეცენზირებად და რეფერირებად ჟურნალში დამოუკიდებლად გამოქვეყნებულ ყოველ სტატიაზე<br>- რეცენზირებად და რეფერირებად ჟურნალში თანაავტორობით გამოქვეყნებულ ყოველ სტატიაზე | 30<br>20<br>15<br>7<br>5     | -<br>20<br>75<br>70<br>50 | -<br>-<br>45<br>70<br>50 | -<br>-<br>15<br>35<br>25 |
| 3  | გამოქვეყნებული მონოგრაფია საავტორო უფლება               | - მონოგრაფია გამოცემული საზღვარგარეთ<br>- მონოგრაფია<br>- დამოუკიდებლად ყოველ აღმოჩენაზე<br>- ყოველ გამოგონებაზე (საავტორო მოწმობა, პატენტი)<br>- ახალი ჯიშის გამოყვანა, დარაიონება ან ახალი პრეპარატის შექმნაზე  | 80<br>40<br>200<br>70<br>100 | -<br>40<br>-<br>-<br>-    | -<br>40<br>-<br>-<br>-   | -<br>-<br>-<br>-<br>-    |
| 4. | სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა ბოლო 10 წელიწადში | - საერთაშორისო კონფერენციის ყოველი მოხსენებისათვის<br>- ადგილობრივი მნიშვნელობის კონფერენციის ყოველი მოხსენებისათვის  | 20<br>10                     | 60<br>50                  | 40<br>50                 | 20<br>30                 |

|     |   |  |    |    |    |    |
|-----|---|--|----|----|----|----|
| 5.  | სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელობა (კონსულტანტობა)                                  | - ყოველ დაცულ სადოქტორო დისერტაციაზე                               | 40 | 40 | -  | -  |
|     |   | -ყოველ დაცულ საკანდიდატო დისერტაციაზე                              | 25 | 50 | 25 | -  |
| 6.  | დოქტორანტის ხელმძღვანელობა  | - ერთ დოქტორანტზე ყოველწლიურად                                     | 50 | 50 | 50 | -  |
| 7.  | დისერტაციის ოპონენტობა (შემფასებელი)  | - ყოველ დაცულ სადოქტორო დისერტაციაზე                               | 5  | 15 | -  | -  |
|     |   | - ყოველ დაცულ საკანდიდატო დისერტაციაზე                             | 3  | 15 | -  | -  |
| 8.  | გრანტში მონაწილეობა ბოლო 5 წლის განმავლობაში  | - ყოველი საერთაშორისო გრანტის ხელმძღვანელობა                       | 50 | -  | -  | -  |
|     |   | - ყოველ საერთაშორისო გრანტში მონაწილეობა                           | 40 | 40 | -  | -  |
|     |   | - ყოველი ლოკალური გრანტის ხელმძღვანელობა                           | 40 | 40 | 40 | -  |
|     |   | - მონაწილეობა ყოველ მომზადებულ და წარდგენილ გრანტზე                | 10 | 10 | 10 | 10 |
|     |   | -ყოველ ლოკალურ გრანტში მონაწილეობა                                 | 30 | 30 | 30 | 30 |
| 9.  | სტაჟირება ან ტრენინგში მონაწილეობა  | - უცხოეთის უნივერსიტეტებში და ცენტრებში                            | 20 | 20 | 20 | -  |
|     |   | - საქართველოში   | 5  | 10 | 10 | 10 |
| 10. | სახელმწიფო ჯილდო, საპატიო წოდება სასწავლო-სამეცნიერო, საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის | - ორდენი   | 50 | -  | -  | -  |
|     |   | - მედალი   | 30 | -  | -  | -  |
|     |   | - პრეზიდენტის სიგელი (მაღლობა)                                     | 20 | -  | -  | -  |
| 11. | სადისერტაციო საბჭოს წევრობა ბოლო 10 წლის განმავლობაში                                 | - თავმჯდომარე  | 30 | -  | -  | -  |
|     |   | - მოადგილე   | 20 | -  | -  | -  |
|     |   | - სწავლული მდივანი   | 15 | 10 | -  | -  |
|     |   | - წევრი  | 10 | 10 | 10 | -  |
| 12. | სამეცნიერო აკადემიის წევრობა  | - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრობა              | 30 | -  | -  | -  |
|     |   | - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტობა | 25 | -  | -  | -  |
|     |   | - საქართველოს ს. მ. მეცნიერებათა აკადემიის წევრობა                 | 25 | -  | -  | -  |
|     |   | - საქართველოს ს. მ. მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტობა    | 20 | -  | -  | -  |

|   |  |  |    |             |             |            |
|---|--|--|----|-------------|-------------|------------|
|   |  | - საზღვარგარეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრობა                           | 30 | -           | -           | -          |
|   |  | -საერთაშორისო აკადემიური წევრობა   | 25 | -           | -           | -          |
| 13.                                     | სახელმწიფო პრემია  | - სახელმწიფო სამეცნიერო პრემია   | 50 | -           | -           | -          |
|   |  | - დარგობრივი პრემია  | 30 | -           | -           | -          |
|   |  | - პრეზიდენტის სტიპენდია  | 25 | -           | -           | -          |
| 14.                                     | სარედაქციო საქმიანობა ბოლო 10 წლის განმავლობაში            | - საერთაშორისო მნიშვნელობის ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრობა                   | 15 | -           | -           | -          |
|   |  | - მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს რედაქტორობა და რეცენზენტობა                         | 10 | 20          | 20          | -          |
| 15.                                     | კონფერენციის, სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტის წევრობა  | - საერთაშორისო კონფერენციის, სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტის წევრობა           | 15 | -           | -           | -          |
|   |  | - ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციის, სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტის წევრობა | 10 | 10          | 10          | -          |
| 16.                                     | ციტირების ინდექსი  | - თუ ნაშრომი ციტირებულია უცხოურ მონოგრაფიაში ან სახელმძღვანელოში                   | 30 | -           | -           | -          |
|   |  | - თუ ნაშრომი ციტირებულია მონოგრაფიაში, სახელმძღვანელოში ან სტატიაში                | 15 | 60          | 30          | -          |
|   |  |  | 30 | -           | -           | -          |
| 17.                                     | სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა ბოლო 10 წლის განმავლობაში | - სამეცნიერო-პოპულარული წიგნი  | 15 | -           | -           | -          |
|   |  | - საზღვარგარეთის სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია               | 10 | 50          | 40          | 20         |
|   |  | - ადგილობრივ სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია                   |    |             |             |            |
| <b>ჯ ა მ ი:</b>                         |  |  |    | <b>865</b>  | <b>600</b>  | <b>205</b> |
| <b>სულ ქულების ჯამი: 1 და 2 ცხრილით</b> |  |  |    | <b>1400</b> | <b>1065</b> | <b>430</b> |

2.3 პედაგოგიური, სამეცნიერო საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული ძირითადი და შეთავსებითი თანამდებობრივი საქმიანობის შეფასების მაჩვენებლები

| №  | შეფასების მონაცემები                          | შეფასების პირობები (ობიექტი)   | ქულა             |
|----|---|--|------------------|
| 1  | 2   | 3  | 4                |
| 1  | რექტორატი                                     | -რექტორი,აკადემიური<br>საბჭოს თავჯდომარე<br>-საბჭოს მდივანი<br>-რექტორის მოადგილე                | 250<br>70<br>150 |
| 2. | წარმომადგენლობითი საბჭო                       | სპიკერი,წარმომადგენლობითი<br>საბჭოს თავჯდომარე<br>-საბჭოს მდივანი                                | 150<br>70        |
| 3  | ადმინისტრაცია                                 | -კანცლერი  | 150              |
| 4. | ხარისხის უზრუნველყოფის<br>სამსახური           | სამსახურის უფროსი<br>სამსახურის წამყვანი<br>სპეციალისტი<br>სამსახურის სპეციალისტი                | 140<br>70<br>65  |
| 5. | სასწავლო პროცესის მართვის<br>სამსახური        | სამსახურის უფროსი<br>სამსახურის წამყვანი<br>სპეციალისტი<br>სამსახურის სპეციალისტი                | 120<br>70<br>65  |
| 6. | სამეცნიერო-კვლევითი<br>საკორდინაციო სამსახური | -სამსახურის უფროსი   | 100              |
| 7. | ფაკულტეტი                                     | -დეკანი<br>-დეკანის მოადგილე<br>-ფაკულტეტის ხარისხის<br>უზრუნველყოფის<br>სამსახურის თანამშრომელი | 100<br>70<br>60  |
| 8. | დეპარტამენტი                                  | -დეპარტამენტის უფროსი<br>-უფროსის მოადგილე<br>-მდივანი   | 80<br>60<br>50   |

3. აკადემიურ თანამდებობებზე ასარჩევ პირთა შეფასებისათვის განსაზღვრული სათანადო მოთხოვნების დასაბუთება

3.1. შეფასების ქულების მინიჭებისათვის სათანადო პირობების დასაბუთება ხორციელდება შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენით:  
 3.1.1. ცნობა პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების (პედაგოგიური სტაჟი) შესახებ (ცნობას გასცემს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური); – ცნობა კონტრაქტით ან საათობრივი წესით მოწვეული პედაგოგების პედაგოგიური

- სტაჟის შესახებ (ცნობას გასცემს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური);
- 3.1.2. ცნობა დაკავებული პედაგოგიური თანამდებობის შესახებ (ცნობას გასცემს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური);
- 3.1.3. ცნობა დაკავებული სამეცნიერო თანამდებობის შესახებ (ცნობას გასცემს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური). სამეცნიერო ხარისხის და პედაგოგიური წოდების დამადასტურებელ საბუთად ჩაითვლება შესაბამისი დიპლომის ორიგინალი;
- 3.1.4. ცნობა სალექციო კურსის წაკითხვის შესახებ (ცნობას გასცემს დეკანატი);
- 3.1.5. ცნობა უცხოეთში პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ (ცნობას გასცემს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ან უცხოეთის შესაბამისი საწესებულება; პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებლად ჩაითვლება აგრეთვე სერთიფიკატის ორიგინალი).
- 3.1.6. სამაგისტრო ნაშრომის დამადასტურებელი ცნობა (ცნობად ჩაითვლება ამონაწერი ბრძანებებიდან მაგისტრანტის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ; ცნობას გასცემს დეკანატი);
- 3.1.7. დაცული სადისერტაციო ნაშრომის კონსულტანტობის, ხელმძღვანელობის და ოპონენტობის დამადასტურებელი საბუთი (საბუთად ჩაითვლება შესაბამისი ჩანაწერი ავტორეფერატის სატიტულო ფურცელზე. ავტორეფერატი წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის სახით. საქართველოში დაცული დისერტაციის ავტორეფერატის მოპოვება შეიძლება საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ან საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში);
- 3.1.8. სამეცნიერო-პედაგოგიური შრომების სია (სიას ადასტურებს ფაკულტეტის დეკანი; სტატიის, მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს, სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის, საავტორო მოწმობის, პატენტის, სამეცნიერო პოპულარული ლიტერატურის და სხვ. ორიგინალის წარდგენა სავალდებულოა);
- 3.1.9. სადისერტაციო საბჭოს წევრობის დამადასტურებელი საბუთი; (საბუთად ჩაითვლება სეს-ის გადაწყვეტილების ასლი და რექტორის ბრძანების ამონაწერი სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ);
- 3.1.10. აკადემიის წევრობის ან წევრ-კორესპონდენტობის დამადასტურებელი საბუთი (საბუთად ჩაითვლება შესაბამისი დოკუმენტის ორიგინალი);
- 3.1.11. სახელმწიფო პრემია (საბუთად ჩაითვლება ჭაურეატის შესაბამისი დიპლომის (სიგელის) ორიგინალი);
- 3.1.12. სარედაქციო საქმიანობის დამადასტურებელი საბუთი (საბუთად ჩაითვლება საუნივერსიტეტო შრომების ან შესაბამისი ჟურნალის ორიგინალები);
- 3.1.13. სტუდენტებთან მუშაობის საბუთი (საბუთად ჩაითვლება სტუდენტის ხელმძღვანელობაზე ბრძანების ამონაწერი და სტუდენტის მიერ მიღებული დიპლომის ასლი);
- 3.1.14. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის საბუთი (საბუთად ჩაითვლება კონფერენციის მასალების ორიგინალი );
- 3.1.15. გრანტში მონაწილეობის დამადასტურებელი საბუთი (საბუთად ჩაითვლება სერთიფიკატის ან ცნობის ორიგინალი, სადაც მითითებული იქნება გრანტის გამცემი ორგანიზაცია, გაცემის წელი, ნომერი და გრანტის ხანგრძლივობა);
- 3.1.16. საზღვარგარეთ ან საქართველოში სტაჟირების ან ტრეინინგის გავლის დამადასტურებელი საბუთი (საბუთად ჩაითვლება სტაჟირების ან ტრეინინგის გავლის შესაბამისი სერთიფიკატის ორიგინალი);
- 3.1.17. სახელმწიფო ჯილდოს დამადასტურებელი საბუთი (საბუთად ჩაითვლება შესაბამისი საბუთის ან მთავრობის დადგენილების და ბრძანებულების ორიგინალი);
- 3.1.18. სამეცნიერო ექსპედიციაში მონაწილეობის დამადასტურებელი საბუთი (საბუთად ჩაითვლება რექტორის შესაბამისი ბრძანების ამონაწერი ან ცნობის ორიგინალი, სადაც მითითებული იქნება ექსპედიციაში მონაწილეობა და ხანგრძლივობა);

3.2. შეფასების ქულების კორექტირება საკვალიფიკაციო შეფასების სრულ დასრულებამდე დაუშვებელია.

#### 4. უნივერსიტეტების დეპარტამენტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების შეფასების განსაზღვრის პირობების შესახებ

4.1. ყოველი დეპარტამენტი (შემდგომში დპ) ან სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (შემდგომში სკც) და მათთან გათანაბრებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება მოვალეა ამ წესის ძალაში შესვლის დღიდან არა უგვიანეს ორი წლისა საკვალიფიკაციო კომისიაში შეიტანოს განაცხადი მისთვის საუნივერსიტეტო საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ.

4.2. განაცხადთან ერთად საკვალიფიკაციო კომისიას უნდა წარუდგინოს დპ და სკც მიერ 3 წლის, ხოლო შემდგომ ატესტაციების დროს 4 წლის გაწეული სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის ანგარიში, რომელიც უნდა შეიცავდეს:

4.2.1. ძირითადად სასწავლო პროცესების სრულყოფაში მიღწეულ შედეგებს (სასწავლო დისციპლინების მიხედვით სახელმძღვანელოებით, სალექციო კურსებით, პროგრამებით, სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფა; სასწავლო პროცესებში კომპიუტერული და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება და ამ მიზნით სპეციალური აუდიტორიების მოწყობა და ა.შ.);

4.2.2. პედაგოგიური და სამეცნიერო კადრებით დაკომპლექტების მდგომარეობას; ახალგაზრდა თაობის პედაგოგთა და მეცნიერთა აღზრდაში თაობათა ცვლის ფონს და თანმიმდევრობას (გამოშვებული მაგისტრები, დოქტორანტები, მათი სტაჟირება საქართველოს და უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტში და სამეცნიერო დაწესებულებებში);

4.2.3. პედაგოგიური და სამეცნიერო კურსების ინდივიდუალური საკვალიფიკაციო შეფასების შედეგებს (საკვალიფიკაციო შეფასების ვადის გასვლისა და ვადამდელი);

4.2.4. ძირითადი სამეცნიერო შედეგებისა და ახალი ტექნოლოგიების აღწერას;

4.2.5. გამოქვეყნებული და გამოსაქვეყნებლად გადაცემული სამეცნიერო ნაშრომების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების და პატენტების ნუსხას;

4.2.7 მოპოვებული სამეცნიერო პროგრამების, გრანტებისა და სტიპენდიების ნუსხას;

4.3. საკვალიფიკაციო კომისიაში განაცხადის შეტანის მომენტისათვის უნივერსიტეტის Web-გვერდზე გახსნილი უნდა იყოს დპ და სკც საიტი, რომელიც უნდა შეიცავდეს:

4.3.1. ზოგად ინფორმაციას დპ და სკც შექმნის შემდგომ სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ 4.2. პუნქტში მოცემული მასალის საფუძველზე;

4.3.2. მოკლე მონაცემებს თვითოეული პედაგოგის და მეცნიერ- თანამშრომლის შესახებ (პედაგოგის და მეცნიერ- თანამშრომლის CV);

4.3.3. თითოეული პედაგოგისა და მეცნიერ- თანამშრომლის ძირითადი სასწავლო და სამეცნიერო ნაშრომის ნუსხას.

4.4 საკვალიფიკაციო კომისია:

4.4.1. განაცხადის მიღების დღიდან არა უგვიანეს ერთი თვისა იღებს გადაწყვეტილებას საუნივერსიტეტო საკვალიფიკაციო შეფასების ჩატარების ან განაცხადის უკან დაბრუნების შესახებ;

4.4.2. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში აღნიშნული ქვედანაყოფების სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის შესასწავლად ქმნის ექსპერტთა ჯგუფს არანაკლებ სამი-ხუთი მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტის შემადგენლობით, რომელთაგან ერთ-ერთს აკისრებს ჯგუფის ხელმძღვანელობას;

4.4.3. უფლებამოსილია და სასურველია ექსპერტთა ჯგუფში შეიყვანოს ერთი ან რამოდენიმე უნივერსიტეტის გარეთ ცნობილი მეცნიერი, სპეციალისტი, ან არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

4.5. ექსპერტთა ჯგუფი ეცნობა და ან სკც საქმიანობის ამსახველ მასალებს, რაც წარდგენილია საუნივერსიტეტო საატესტაციო კომისიაში და განთავსებულია უნივერსიტეტის Web – გვერდის ინტერნეტის ქსელში. იგი უფლებამოსილია:

4.5.1 მოთხოვოს და და სკც მიღებული ძირითადი სასწავლო და სამეცნიერო შედეგების საჯარო განხილვა დეპარტამენტის, ფაკულტეტის ან სკც-ის სამეცნიერო საბჭოების ღია სხდომებზე;

4.5.2. გამოითხოვოს და გამოიყენოს საკვალიფიკაციო შეფასებისათვის ყველა პირის პირადი მასალები, სადაც აღნიშნულია მათი შეფასება და ამ შეფასების აღიარების დამადასტურებელი მასალები;

4.6. ექსპერტთა ჯგუფი მოვალეა საკვალიფიკაციო კომისიას ორ თვეში წარუდგინოს დასკვნა და და სკც სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ წინამდებარე შეფასების წესის საფუძველზე;

4.7. საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, უნივერსიტეტის წარმომადგენლობის საბჭოს მიერ აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით ადმინისტრაციის ხელმძღვანების შეიძლება დადგინდეს ხელფასების ახალი ბაღე და სათანადოდ გაიზარდოს მისი დაფინანსება;

4.8. განაცხადი უკან უბრუნდება და ან სკც, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ამ წესის მოთხოვნას. ასეთ ქვედანაყოფებს უფლება აქვთ ექვსი თვის შემდეგ კიდევ ერთხელ შეიტანონ განაცხადი საუნივერსიტეტო საკვალიფიკაციო კომისიაში და დადებითი პასუხის შემთხვევაში გაიარონ საუნივერსიტეტო საკვალოფიკაციო შეფასება დადგენილი წესით. მეორედ უარის შემთხვევაში კარგავენ საკვალოფიკაციო შეფასების პროცესში მონაწილეობის უფლებას.

4.9. საკვალიფიკაციო კომისიას ევალება შეიმუშაოს რეკომენდაციები იმ და ან სკც რეორგანიზაციის შესახებ, რომლებმაც ვერ გაიარეს საუნივერსიტეტო საკვალიფიკაციო შეფასება, ან უარი ეთქვათ შეფასების პროცესში მონაწილეობაზე.